



THE WORLD BANK

Working for a World
Free of Poverty

NEWS RELEASE

პრეს რელიზი

მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს მიერ კონკურენტუნარიანობის და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ წარმოებული რეფორმების საშუალოვადიან პროგრამას

ვაშინგტონი, 2013 წლის 27 ივნისი - დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის განვითარების 60 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ოდენობის პროგრამისთვის დაფინანსების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება დაამტკიცა. ეს სამწლიანი ღონისძიების მეორე ნაწილია, რომელიც ქვეყანაში კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად შეიქმნა. აღნიშნული კრედიტები 2010-2013 წლებში მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის სტრატეგიის ცენტრალური კომპონენტია. პირველი პროგრამის დაფინანსება 2012 წლის 19 ივლისს იქნა დამტკიცებული.

აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ საშუალოვადიან პერსპექტივაში წარმოებული იმ რეფორმების მხარდაჭერა, რომლებიც ქვეყანაში კონკურენტუნარიანობის და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განვითარებას უწყობენ ხელს. ამ მხრივ განხორციელებული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: (1) კონკურენტუნარიანობა; (2) საჯარო ფინანსების მართვა და (3) სოციალური ხარჯების ეფექტურობა.

კონკურენტუნარიანობის მხრივ მეორე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რეფორმები სავაჭრო პოლიტიკისა და ვაჭრობის ხელშეწყობის, განთლებისა და ამ სფეროში ადამიანური რესურსების მართვის, ასევე ენერჯეტიკის სექტორში საინვესტიციო კლიმატის კუთხით, რის შედეგადაც უფრო დიდი რაოდენობით ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტის ზრდა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა გახდება შესაძლებელი.

პროგრამის მეორე მიმართულება - საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებული ეფექტურობა, მოიცავს ღონისძიებებს, ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალეობის და დაფარვის გაზრდის, საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების თანდათანობით დანერგვის მიზნით.

პროგრამის მესამე მიმართულება - სოციალური ხარჯების ეფექტურობა, ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის და მასზე წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს. გარდა ამისა, რეფორმები სამედიცინო დაზღვევის გეგმის და მიზნობრივი სოციალური დახმარების

ეფექტიანობის ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ხარჯების დაწევის მეშვეობით გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

„განვითარების პოლიტიკის მეორე ღონისძიება საქართველოს სამთავრობო პროგრამის განვითარების საკითხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აღნიშნული პროგრამა ქვეყნის გარეთ კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, სამუშაო ადგილების მატებაზე და სიღარიბის შემცირებაზეა ორიენტირებული. ამ პროგრამაში საქართველოს მთავრობის აქტიური ჩართულობა მისი განხორციელებისა და მდგრადობის გარანტია,“ - განაცხადა ჰენრი ქერალიმ, მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

„მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგია წარმოების გაუმჯობესებაზე, გაზრდილ ინვესტიციებზე და ექსპორტზე ორიენტირებული პოზიტიური ციკლის შექმნას ისახავს მიზნად, რათა მოხდეს ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება. ამავე დროს სოციალური დაცვის სისტემების გაუმჯობესება და სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება“, აღნიშნა რაშიმ შანკარმა, მსოფლიო ბანკის წამყვანმა ეკონომისტმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც ამავე დროს აღნიშნული პროგრამის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელიცაა.

კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების სერია საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტებით ფინანსდება, რომლებიც 25 წლის ვადით გაიცემა და რომლებსაც 5 წლიანი საშელავათო პერიოდი გააჩნიათ.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის ამ მომენტისთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი ოდენობა დაახლოებით 1.92 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს უდრის.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში წარმოებული საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <http://www.worldbank.org/ge>

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონში: ელენა კარაბანი (202) 473 – 9277

ekaraban@worldbank.org

თბილისში: ინგა პაიჭაძე (99532) 291 30 96/ 91 26 59

ipaichadze@worldbank.org

სატელეფიო გაშუქების მიზნით: ნატალია ჩისლიკი (202) 458-9369

ncieslik@worldbank.org

მოგვძებნეთ ფეისბუქზე: <http://www.facebook.com/worldbank>

მიიღეთ უახლესი ინფორმაცია „Twitter“-ის მეშვეობით: <http://www.twitter.com/worldbank>

ან „YouTube“-ის არხზე: <http://www.youtube.com/worldbank>

News Release: 2013/016/ECA

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი
ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.worldbank.org.ge